# ბინის მესაკუთრეთა

## კრების ოქმი N 1

ქალაქი თბილისი. 03 სექტემბერი 2025 წ.

1) მისამართი: თბილისი, გამზირი პეკინი, N 28

2) კრების ჩატარების ადგილი: პეკინის 28 ნომრის მიმდებარე ეზო

3) კრების თავმჯდომარე არჩეულ იქნა: შპს „სიმაღლე“-ს (ს/ნ205105884) დირექტორი ვლადიმერ კერესელიძე (პ/ნ 01026002964)

4)კრებას დაესწრო ბინების მესაკუთრეთა 2/3-ზე მეტი წევრი.

5)დღის წესრიგი: შპს „დიანა“-ს (ს/კ 211337178) ს/კ კუთვნილ უძრავ ქონებაში, ს/კ 01.10.14.030.011.01.502, საერთო ფართით 544.00 კვ.მ. განთავსებულია რამდენიმე კომერციული ობიექტი. მათ შორისაა კვები ობიექტები. კვების ობიექტების ნორმალურად ფუნქციონირებისთვის მესაკუთრე ითხოვს მოეწყოს აირის გამწოვი სავინტილაციო მილები.

6) აზრი გამოთქვეს: კრებაზე დამსწრე ბინათმესაკუთრეთა უმრავლესობამ იმსჯელა გამწოვი სისტემის აუცილებლობაზე და გამოთქვეს თანხმობა აღნიშნული სისტემის მოწყობასთან დაკავშირებით, დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

7) კრებაზე დამსწრე ამხანაგობის ყველა წევრმა (100%) თანხმობა განაცხადა შპს „დიანა“-მ მოაწყოს აირის გამწოვი სავინტილაციო მილები დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, ხმაურის დონის დადგენილი ნორმების გათვალისწინებით. რომელიც გამოდის კორპუსის უკანა ფასადზე და სცილდება სახურავს.

კრების თავმჯდომარე: ვ.კერესელიძე

| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | N251154600 |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | 03.09.2025 წ |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება |
| ნოტარიუსი | ლალი გზირიშვილი |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | თბილისი, პეკინის გამზირი 23. ბინა 47 |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | 236 99 99 |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | 79583438355425 |

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

ორიათას ოცდახუთი წლის სამ სექტემბერს, მე, ნოტარიუს ლალი გზირიშვილს, სანოტარო ბიუროში - მისამართზე: ქ. თბილისი, პეკინის გამზ. 23 ბ. 47, მომმართა მოქალაქე **ვლადიმერ კერესელიძემ,** რომელმაც მოითხოვა მის მიერ წარმოდგენილ ბინის მესაკუთრეთა კრების ოქმი N1-ს ერთ ეგზემპლარზე (რომლის შინაარსი მისთვის ცნობილი და მისაღებია) თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა, მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ვლადიმერ კერესელიძემ** (დაბადებული 29.10.1941წ რუსეთში, რეგ ქალაქი თბილისი, პანკისის ქუჩა, N 3, ბინა 5, პირადი #01026002964) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და განვუმარტე, რომ წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერის დამოწმებისას ნოტარიუსი ამოწმებს, რომ დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერა ნამდვილად ზემოაღნიშნულ პირს ეკუთვნის. ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მის ნამდვილობაზე, ამის შემდეგ **ვლადიმერ კერესელიძემ** ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულა ხელმოწერა წინამდებარე ოქმზე რასაც ვამოწმებ.

გადახდილია საზღაური: თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების“ შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების 31-ე მუხლისა 6 (ექვსი) ლარი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა დ.ღ.გ 18% 1.08 (ერთი ლარი და რვა თეთრი) თეთრი საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილების 39-ე მუხლის პირველი პუნქტისა 5 (ხუთი) ლარი, სულ 12 (თორმეტი) ლარი და 0.08(რვა) თეთრი.

ნოტარიუსი ლალი გზირიშვილი